# ბრძანება N 9

## სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

10 თებერვალი,2020 ქ.თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ფ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

ა) საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილება: განყოფილების უფროსი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული. საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილების სასწავლო და საკვალიფიკაციო პროექტების სამსახური: სამსახურის უფროსი - 1(ერთი) საშტატო ერთეული; სპეციალისტი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული. საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება: უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული. საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატების შერჩევის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა)**თამარ ჭოხონელიძე** - ცენტრის დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ)**ეკა დუღაშვილი** - ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **თამარ ოთხმეზური** - ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების უფროსი;

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge

დ)**ვლადიმერ კეკელია** - ცენტრის არქივმოდნეობისა და ელექტრონული არქივის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი;

ე) **ეკა გოგიჩაიშვილი** - ცენტრის ბიბლიოთეკა-მუზეუმის (განყოფილება) უფროსი;

ვ)**ნესტან ბაგაური** - ცენტრის საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

ზ)**მანანა ქავთარაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

თ)**ეკა კვიტაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი;

ი) **ხათუნა გორდეზიანი** - ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და მონიტორინგის კოორდინატორი, კომისიის მდივანი.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 4-ის შესაბამისად;

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი განისაზღვროს ორ ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

5. საბუთების მიღება იწარმოებს 2020 წლის 11 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით 12:00 სთ-დან 17:00 საათამდე ცენტრის საქმისწარმოების სამსახურში მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1/3 .

6. საბუთების გადარჩევის დღედ განისაზღვროს 2020 წლის 27-28 თებერვალი.

7. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2020 წლის 4-5 მარტი 14.00 სთ.

8. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2020 წლის 12 მარტისა.

9. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორსო თანამშრომლობის განყოფილების კოორდინატორს (მ.ჯაბიძე) ამ ბრძანებით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღის და პირობების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.manuscript.ge) გამოქვეყნება;

10. დაევალოს ცენტრის საფინანსო - ადმინისტრაციული განყოფილების საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

**დირექტორი** **ზაალ აბაშიძე**